კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №39
2014 წლის 1 აგვისტო

ქ. კასპი

კასპის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-4 მუხლის მე-3 ნაწილისა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

კასპის მუნიციპალიტეტის ფარგლებში შეიქმნას კასპის მუნიციპალიტეტის შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულები:

ა) ქალაქ კასპის, ადმინისტრაციული ერთეული (ქალაქი კასპი, სოფ. ვარჯაანი, სოფ. მიქელწყარო);

ბ) დოესის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. დოესი, სოფ. გრაკალი);

გ) ხოვლის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. ხოვლე);

დ) ზემო ხანდაკის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. ზემო ხანდაკი, სოფ. ჭყოპიანი, სოფ. კალოუბანი, სოფ. ზენადრისი);

ე) თელიანის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. თელიანი, სოფ. სასირეთი);

ვ) მეტეხის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. მეტეხი, სოფ. ბარნაბიაანთ კარი, სოფ. სად. მეტეხი);

ზ) ქვემო გომის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. გომი, სოფ. ნიაბი, სოფ. ბორტა);

თ) ახალქალაქის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. ახალქალაქი, სოფ. ზემო ჩოჩეთი, სოფ. თეძმის ხევი, სოფ. ახალსოფელი, სოფ. ჩაჩუბეთი, სოფ. კაპრაშიანი, სოფ. გარიყულა, სოფ. ერთაწმინდა, სოფ. გოსტიბე, სოფ. რკონი);

ი) ახალციხის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. ახალციხე, სოფ. ნოსტე, სოფ. ცხავერი, სოფ. მთიულთ უბანი);

კ) კავთისხევის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. კავთისხევი, სოფ. ქვემო ჩოჩეთი, სოფ. ციხისუბანი, სოფ. თვალადი, სოფ. ეზატი, სოფ. გუდალეთი, სოფ. შუა უბანი, სოფ. ქებაანი, სოფ. წიფორი, სოფ. ქვემო ხანდაკი, სოფ. მირიანი);

ლ) წინარეხის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. წინარეხი, სოფ. თელადგორი, სოფ. გომი–ჯვარი, სოფ. ლავრისხევი, სოფ. იდლეთი);

მ) აღაიანის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. აღაიანი, სოფ. ხიდისყური, სოფ. საქადაგიანო);

ნ) ოკამის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. ოკამი, სოფ. ფერმა, სოფ. ჩანგილარი, სოფ. თეზი, სოფ. იგოეთი, სოფ. მრგვალი ჭალა);

ო) ლამისყანის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. ლამისყანა, სოფ. ხვითი, სოფ. თვაურები);

პ) სამთავისის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. სამთავისი, სოფ. ბოჟამი, სოფ. თოგოიანი);

ჟ) ქვემო ჭალის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. ქვემო ჭალა, სოფ. ახალშენა, სოფ. საკორინთლო, სოფ. გორაკა, სოფ. პანტიანი, სოფ. ვაკე, სოფ. გამდლისწყარო);

რ) კოდისწყაროს ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. კოდისწყარო, სოფ. ზადიაანთ კარი, სოფ. ყარაფილა, სოფ. სარიბარი, სოფ. ჩობალაური, სოფ. ნიგოზა, სოფ. ზემო რენე, სოფ. ქვემო რენე).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კასპის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნუგზარ ბუღაძე**